

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების კონცეფცია

შესავალი:

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო საჯარო დაფინანსებით ფუნქციონირებს და ამიტომ, იგი ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე. ის მთლიანად საზოგადოებას ეკუთვნის და უნდა ემსახურებოდეს საყოველთაო ინტერესს. მან მაქსიმალურად უნდა წარმოაჩინოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი და მათი ინტერესი. მაუწყებლის გადაცემები მიმართული უნდა იყოს საზოგადოებაში არსებული პრობლემებისა და ინტერესების წარმოჩენისა და პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ტოლერანტობასა და მრავალფეროვნების წარმოჩენას.

დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა განსაზღვრავს სანდოობას. სანდოობას ასევე განსაზღვრავს ეთიკური და პროფესიონალური ჟურნალისტიკა რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ხარისხზე. სანდოობის თვალსაზრისით ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ აჭარის ტელევიზიამ და რადიომ საზოგადოებას შესთავაზოს ისეთი საავტორო პროგრამები, რომლებიც საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისათვის იქნება საინტერესო.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისგან“. განსხვავებით კომერციული ტელევიზიებისაგან, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი საეთერო ბადე მთლიანად დაუთმონ თუნდაც ერთ რომელიმე კონკრეტულ გადაცემას, ასეთი თავისუფლება საზოგადოებრივ მაუწყებელს არ გააჩნია. „ მაუწყებლობის შესახებ „ საქართველოს კანონი (მუხლი 16 პუნქტი 1. „ბ“ ქვეპუნქტი) აწესებს შინაარსობრივ ვალდებულებებს. მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის. აღნიშნული ვალდებულებები ასევე ვრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოზე (მუხლი 35¹ .პუნქტი2)

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულებისას, მრჩეველთა საბჭო მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამულ პრიორიტეტებს.

პროგრამული პრიორიტეტები:

- საინფორმაციო გადაცემები (ახალი ამბები, ანალიტიკური გადაცემები);
- სოციალური და სამართლებრივი ხასიათის გადაცემები (ბავშვთა უფლებები, ჟურნალისტიკური გამოძიება, სასამართლო პროცესების ტრანსლირება);
- შემეცნებით-საგანმანათლებლო გადაცემები.

თითოეული მათგანის შესახებ:

ახალი ამბები

გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა, საზოგადოებისათვის მტკივნეული თემები, ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, ოკუპირებული რეგიონები, რეგიონული და რაიონული თემები. სიღმისეული, ანალიტიკური დისკუსია ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, სამოქალაქო სექტორის, შესაბამისი დარგის ექსპერტების, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, ახალგაზრდების, ქალების და უბრალოდ დაინტერესებული პირების ჩართულობით.

საარჩევნო წლებში ყურადღება უნდა გამახვილდეს საარჩევნო თემებზე (პოლიტიკური სუბიექტების თანაბარი წარმომჩენა, საარჩევნო განათლება, სადამკვირვებლო პროცესი) ამ საკითხებში მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობა.

ანალიტიკური გადაცემები

ანალიტიკური გადაცემების ნაწილში აქცენტი უნდა კეთდებოდეს არამხოლოდ პოლიტიკურ საკითხებზე არამედ ისეთ თემებზე როგორცა ეკომიგრანტები, შ.შ.მ პირები, ადამიანის უფლებები და ა.შ.

ანალიტიკური გადაცემების პრინციპი ინდა იყოს:

- აქტუალობა და არამარტო სენსაციურობა;
- დოკუმენტურად გამყარებული ფაქტები და არა ილუსტრაცია;
- სწორი ანალიზი და არა ფაქტების დადასტურება.

გადაცემებმა ხელი უნდა შეუწყოს აზრის პოლარიზაციის შენელებას, არსებული პრობლემების წინ წამოწევას და პრობლემის ანალიზს. გადაცემის პრიორიტეტი უნდა იყოს ისეთი საკითხების წარმოჩენა რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც მთლიანად საზოგადოებისათვის ასევე ცალკეული ჯგუფებისათვის.

სოციალური და სამართლებრივი ხასიათის გადაცემები

ბავშვთა უფლებები:

ბავშვთა პრობლემების ამსახველი სიუჟეტები ტელევიზიასა და პრესაში სულ უფრო იშვიათად გვხვდება, ჟურნალისტებს უფრო კრიმინალური ამბები აინტერესებთ, ზოგადად მედია დაინტერესებულია „სენსაციურობით“ მაგრამ რაც შეეხება ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებას, მათ პრობლემებს, ამის შესახებ გადაცემები ან საერთოდ არ არსებობს, ან იშვიათი გამონაკლისია.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ საზოგადოებაში ვიცხოვრებთ. მედია ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ საზოგადოება იყოს უფრო მეტად განვითარებული, ჰუმანური, ვიდრე დღეს. იმის მიხედვით, თუ როგორ შუქდება ბავშვთა პრობლემები, როგორ ექცევა საზოგადოება ბავშვს, შეგვიძლია ნათლად დავინახოთ როგორია ჩვენი საზოგადოება და ზოგადად რა უფლებრივ გარემოში ვცხოვრობთ. მედია, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უდავო ლიდერია. მას უმთავრესი როლი აქვს საზოგადოების სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური ცნობიერების ჩამოყალიბებაში, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, მოქალაქეების ინფორმირების და განათლების დონის ამაღლებაში. იმისათვის, რომ შეიცვალოს საზოგადოების ცნობიერება სხვა ბევრი მიმართულებით, ამოსავალი

წერტილი უნდა იყოს ბავშვთა უფლებები მითუმეტეს მაშინ, როცა მოუგვარებელ პრობლემად რჩება სკოლებში კრიმინალი და არასრულწლოვანთა დანაშაული.

თუ კი აჭარის ტელევიზია და რადიო ვერ ან არ შეიტანს ასეთი ფაქიზი მაგრამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარებაში თავის წვლილს, მაშინ მისი როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსი აზრს დაკარგავს. ის ხომ ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.

ჟურნალისტური გამოძიება:

ჟურნალისტური გამოძიება უნდა იყოს მიუკერძოებელი. თუ კი ჟურნალისტური გამოძიება არ იქნება ორიენტირებული მიუკერძოებლად გააშუქოს საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის საჯარო სამსახურებში არსებული პრობლემები ყოველთვის იარსებებს ეჭვი თავად მაუწყებლის მიუკერძოებლობაზე. ჟურნალისტური გამოძიების მიერ მიღებული მაღალი ხარისხის პროდუქტი მნიშვნელოვნ როლს შეძენს ზოგადად მედიას როგორც ე.წ. მეოთხე ხელისუფლებას და გაზრდის მისადმი ნდობასა და ინტერესს.

სასამართლო პროცესების ტრანსლირება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განხორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიო ჩაწერა, (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე).

როდესაც ვსაუბრობთ საზოგადოებრივი მაუწყებლის „საზოგადოებრიობაზე“ , არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს საკითხის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე აქვს სურვილი მიიღოს ინფორმაცია რეალურად რა ხდება სასამართლო დარბაზში და ასევე საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია პირველწყაროდან და თავად შეაფასოს ისეთი ინსტიტუტის სანდოობის ხარისხი როგორც სასამართლოა და არ იყოს დამოკიდებული სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციაზე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასამართლოს სანდოობის სწორად შეფასებას. მაშინ როდესაც საქართველოს კანონმდებლობა უშვებს იმას, რომ სასამართლო პროცესი წარმართოს საჯაროდ და ზეპირად (გამონაკლისის გარდა) და როდესაც მიღებული გადაწყვეტილება ცხადდება ზეპირად და ასევე სასამართლო პროცესზე დასწრებაც თავისუფალია, რატომ არ შეიძლება საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე მოხდეს ამა თუ იმ სასამართლო პროცესის ტრანსლირება?

შემეცნებით-საგანმანათლებლო გადაცემები

შემეცნებით-საგანმანათლებლო გადაცემების დეფიციტი ზოგადად ქართულ ტელევიზორცეში ჯერჯერობით მაინც იგრძნობა. შეიძლება არსებობდეს ერთეული წარმატებული პროექტები, მაგრამ ამით სასურველი ამინდი ვერ შეიქმნება. იცვლება მოთხოვნები და შესაბამისად გემოვნებაც. მაგალითად: წლების წინ თუ კი უცხო ენის შემსწავლელი გადაცემები მოთხოვნადი იყო, დღეს ეს მოთხოვნა აღარ არსებობს. შესაბამისად მაუწყებელმა საზოგადოებას უნდა შესთავაზოს თანამედროვე მოთხოვნებისათვის შესაბამისი ფორმატის გადაცემები.

ამ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს უცხოური წარმატებული არხების გამოცდილება. განათლებას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოს საზოგადოებრივ არხზე. არსებობს ცნობილი შემეცნებითი არხები როგორცაა - discovery,

History, National Geographic და ა.შ. ამ არხების პოპულარობა და რეიტინგი ადასტურებს, რომ შემეცნებითი ხასიათის დოკუმენტურ ფილმებზე მოთხოვნა დიდია და შესაბამისად კონკურენტ უნარიანიც მხატვრულ ფილმებთან.

მრჩეველთა საბჭოს შესახებ:

როგორც ზემოთ აღნიშნულ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ დაწესებულია შინაარსობრივი ვალდებულებები მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრიორიტეტების განსაზღვრისას მრჩეველთა საბჭო უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ამ ვალდებულებებით. პროგრამული პრიორიტეტები მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ მრჩეველთა საბჭოს, უფლება აქვს პროგრამული პრიორიტეტები გახადოს საერთო განხილვის საგნად და მოიწვიოს როგორც შესაბამისი დარგის სპეციალისტები ასევე სხვა დაინტერესებული პირები, რათა გათვალისწინებული იქნას საზოგადოების მოთხოვნა იმის გასაანალიზებლად თუ რა მოთხოვნები, ინტერესები ან პრობლემები არსებობს საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფის წინაშე და ამის შემდეგ განსაზღვროს მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტი. საჯარო კონსულტაცია არის პროცესი, როდესაც ხდება ფართო საზოგადოების ჩართვა იმ საკითხების განხილვა-გადაწყვეტის პროცესში, რომელიც მათ ინტერესებს შეეხება. აღნიშნული პროცედურის მთავარი მიზანია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ეფექტურობის ამაღლება, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და პროცესებში დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაბალანსება, მათი ინტერესების გათვალისწინება.

აღნიშნული პროცესის უზრუნველსაყოფად მრჩეველთა საბჭომ უნდა უზრუნველყოს:

- მისაღები გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა;
- დაინტერესებული პირების მოსაზრებების მოძიება-მოსმენა.

აღნიშნული შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც ერთჯერადად ასევე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პერიოდის განმავლობაშიც. კონსულტაციის მიზანი უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე უფრო მაღალი სტანდარტის პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა.